

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”  
ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო  
დაწესებულებების გაერთიანების  
მმართველი: *გ. ბერუაშვილი* /გ. ბერუაშვილი/

“ შეთანხმებულია ”  
საქართველოს ძიუდოს ფედერაციის  
პრეზიდენტი: *გ. ბერუაშვილი*

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ოლიმპიური ჩემპიონის შ.ხაბარელის სახელობის რესპუბლიკური ტურნირის  
ჭიდაობა ძიუდოში 2003-2004 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის

შეჯიბრების ჩატარების მიზანი და ამოცანები

- 1. ძიუდოს პოპულარიზაცია ქარელის მუნიციპალიტეტში
- 2. ნიჭიერი-პერსპექტიული მოჭიდავეების გამოვლინება

შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი

შეჯიბრება ჩატარდება 2019 წლის 14-15 ივნისს ქარელის სასპორტო სკოლის  
დარბაზში, ( მდებარე ქ.ქარელი, ყაზბეგის ქუჩა №92-ში) აწონვა 14 ივნისს 17.00 სთ-დან და 15  
ივნისს 9.00 საათიდან, შეჯიბრების დასაწყისი 15 ივნისს დღის 11 საათზე

მიღების პირობები

შეჯიბრების ხარჯებს გზა, კვება, სასტუმრო, სასტარტო შესატანი 10 (ათი)  
ლარს უზრუნველყოფს მიმავლინებელი ორგანიზაცია. სასტარტო თანხა გადარიცხვით  
შემდეგ სახაზინო კოდზე 749347519  
მონაწილე სპორტსმენები სურათიანი საბუთის და დაბადების მოწმობის ასლის  
გარეშე შეჯიბრზე არ დაიშვებიან

## შეჯიბრების ჩატარების ხელმძღვანელობა

---

შეჯიბრების ჩატარებას ხელმძღვანელობს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია და ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება და მათ მიერ დამტკიცებული მსაჯთა კოლეგია, (შეჯიბრებას მოემსახურება საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციიდან მოწვეული კომისარი და მსაჯები),

## შეჯიბრების ჩატარების სისტემა

---

შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო მოქმედი წესების შესაბამისად შემდეგ წონით კატეგორიებში: -46,50,55,60,66,73, 81, 90, +90 დაშვება 1 კგ

## შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

---

შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს გაიღებს ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება.

## დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

---

წონით კატეგორიებში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცემათ შესაბამისი დიპლომები , თასები, და მედლები, ფედერაციიდან მოწვეულ კომისარზე და მსაჯებზე გაიცემა ფულადი თანხა მსაჯობისათვის

შენიშვნა:

1. წინამდებარე დებულება ითვლება ოფიციალურ გამოცხადებად შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველი გუნდებისათვის

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ქარელში

საკონტაქტო ტელეფონი: 595 74-82-71 , 577 21-73 -83